საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 177 2018 წლის 12 აპრილი ქ. თბილისი

სსიპ – ქართული სპორტის მუზეუმის სსიპ – საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან მიერთების გზით რეორგანიზაციის შესახებ

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. რეორგანიზებულ იქნეს სსიპ – ქართული სპორტის მუზეუმი სსიპ – საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან მიერთების გზით. სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი ჩაითვალოს სსიპ – ქართული სპორტის მუზეუმის უფლებამონაცვლედ.

მუხლი 2. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და სსიპ – საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა უზრუნველყონ დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად რეორგანიზაციასთან

დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ნოემბრის №637 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/11/2014, 040030000.10.003.018256) და დადგენილებიდან ამოღებულ იქნეს დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 პუნქტი.

მუხლი 4. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები დასრულდეს 2018 წლის 1 ივნისამდე.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**